

ურთიერთგაგების მემორანდუმი

საქართველოს მთავრობა,

შპს „აკვაჰიდროენერჯი“,

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“,

სს „გეს საქრუსენერგო“,

შპს „ენერგოტრანსი“

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორი“

თარიღი: 17 აგვისტო, 2015 წ.

თბილისი, საქართველო

წარმოდგენილი ურთიერთგაგების მემორანდუმი (შემდგომში „მემორანდუმი“) დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:

საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის კახა კალაძის მიერ;

შპს „აკვაჰიდროენერჯის“ (შემდგომში „კომპანია“), ს/კ 443860261, წარმოდგენილი დირექტორის დავითი კობერიძის მიერ;

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში „სსე“), წარმოდგენილი რეაბილიტაციი მმართველის/მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის სულხან ზუმბურიძის მიერ;

სს „გეს საქრუსენერგო“ (შემდგომში „საქრუსენერგო“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის რომეო მიქაუტაძის მიერ;

შპს „ენერგოტრანსი“ (შემდგომში „ენერგოტრანსი“) წარმოდგენილი დირექტორის კახა სეხნიაშვილის მიერ;

სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში „ესკო“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ვახტანგ ამბოკაძის მიერ;

დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

განმარტებები

1. წინამდებარე მემორანდუმში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
 - 1.1. „ხელშეკრულება“ ნიშნავს მემორანდუმის დანართი N4-ით განსაზღვრულ დოკუმენტს, რომელიც უნდა გაფორმდეს ძირითად მხარეთა შორის ამ მემორანდუმის მე-7 მუხლის შესაბამისად.
 - 1.2. „სამშენებლო ფაზა“ ნიშნავს დროის პერიოდს ხელშეკრულების გაფორმებიდან ელექტროსადგურების კასკადის ექსპლუატაციაში მიღებამდე, რა პერიოდშიც კომპანია ვალდებულია განახორციელოს სამშენებლო საქმიანობა, მაგრამ არაუმეტეს მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული სამშენებლო ფაზის ვადისა.
 - 1.3. „სამშენებლო გარანტია“ ნიშნავს სამშენებლო ფაზის ფარგლებში კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მის მიერ საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ წარმოდგენილ საბანკო გარანტიას.
 - 1.4. „დღე/დღეები“ ნიშნავს კალენდარულ დღეებს.
 - 1.5. „ელექტროსადგური“ ნიშნავს მემორანდუმის დანართი N1-ით განმარტებულ ერთ-ერთ ჰიდროელექტროსადგურს.
 - 1.6. „ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება“ ნიშნავს პირდაპირ ხელშეკრულებას, რომელიც მემორანდუმის შესაბამისად იდება კომპანიასა და „ესკო“-ს შორის.
 - 1.7. „საინვესტიციო ხარჯი“ ნიშნავს მემორანდუმის შეწყვეტამდე პროექტის განხორციელებისათვის გაწეულ სრულ ხარჯებს, მათ შორის, პროექტის სარეალიზაციოდ კომპანიის მიერ აღებული სესხის ათვისებული ნაწილის ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს, აგრეთვე სესხის გამცემისთვის სესხის შეწყვეტის გამო ასანაზღაურებელ კომპენსაციას; კომპანიის მიერ პროექტის რეალიზაციისთვის დადებული კონტრაქტებისა და შეთანხმებების შეწყვეტის შედეგად კომპანიის ზარალს, ხარჯებსა და ამასთან დაკავშირებულ სავალდებულო გადასახდელებს; პროექტის რეალიზაციის არეალიდან კომპანიის მიერ ტექნიკისა და პერსონალის დემობილიზაციის, აგრეთვე კომპანიის კუთვნილი ქონების დემონტაჟისა და გატანის ხარჯებს და ამასთან

დაკავშირებულ სავალდებულო გადასახდელებს; პროექტის რეალიზაციის მიზნით გაწეულ კაპიტალურ ხარჯებს; მთავრობისთვის გადასაცემი ქონების დამოუკიდებელ და სამართლიან საბაზრო შეფასებას.

- 1.8. „სამინისტრო“ ნიშნავს საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს.
- 1.9. „წინასამშენებლო ფაზა“ ნიშნავს დროის პერიოდს წინამდებარე მემორანდუმის ძალაში შესვლიდან სამშენებლო ფაზის დაწყებამდე, რა პერიოდშიც კომპანია ვალდებულია განახორციელოს წინასამშენებლო საქმიანობა, მაგრამ არაუმეტეს მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული წინასამშენებლო ფაზის ვადისა.
- 1.10. „მზარეები“ ნიშნავს მთავრობას, კომპანიას, „სსე“-ს, „საქრუსენერგო“-ს, „ენერგოტრანსი“ და „ესკო“-ს ერთობლივად.
- 1.11. „ძირითადი მზარეები“ ნიშნავს მთავრობასა და კომპანიას.
- 1.12. „პროექტი“ ნიშნავს ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის, კვლევის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანალიზის მომზადებას და ელექტროსადგურების კასკადის მშენებლობას, ფლობასა და ოპერირებას.
- 1.13. „სახელმწიფო“ ნიშნავს საქართველოს.
- 1.14. „ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრები“ ნიშნავს ელექტროსადგურების კასკადის ადგილმდებარეობას, მდინარის ნიშნულებს, დადგმულ სიმძლავრეს და წლიურ გამომუშავებას, როგორც მოცემულია მემორანდუმის დანართი N1-ში.
- 1.15. „ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევა“ ნიშნავს კომპანიის მიერ მოსამზადებელ კვლევას/ანგარიშს, რომელიც უნდა შეიცავდეს მემორანდუმის დანართ N2-ით განსაზღვრულ დოკუმენტებს და რომელიც უნდა ადასტურებდეს პროექტის განხორციელების ტექნიკურ, ეკონომიკურ, ფინანსურ და იურიდიულ მიზანშეწონილობას.
- 1.16. „ელექტროგადამცემი ქსელი“ ნიშნავს ელექტროგადამცემ ხაზებსა და ქვესადგურებს (მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე „ახალციხე-ბორჩხა“-ს 400 კვ ელექტროგადამცემ ხაზსა და 500/400/220 კვ. ქვესადგურ „ახალციხეს“), რომლებიც საჭიროა ელექტროენერჯის თურქეთის საზღვრამდე გადაცემისათვის და რომელთაც ფლობენ „სსე“, „ენერგოტრანსი“ ან/და „საქრუსენერგო“.
- 1.17. „მიიღე ან გადაიხადე პრინციპი“ ნიშნავს გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულების შესაბამისად განსაზღვრულ პრინციპს, რომლის თანახმადაც:
 - ა) „სსე“, „საქრუსენერგო“ და „ენერგოტრანსი“ კომპანიას უზრუნველყოფენ საჭირო დისპეტჩერიზაციის და გადაცემის მომსახურებით, ხოლო „ენერგოტრანსი“ დამატებით უზრუნველყოფს კომპანიას გამტარუნარიანობის საჭირო მოცულობით „ახალციხე-ბორჩხა“-ს ელექტროგადამცემი ხაზის მის კუთვნილ ნაწილზე ელექტროსადგურების კასკადის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის სრული მოცულობით (ზამთრის თვეების გარდა) თურქეთის საზღვრამდე გადაცემისათვის ელექტროსადგურების კასკადის ექსპლუატაციაში მიღებიდან 15 (თხუთმეტი) წლის განმავლობაში ექსპორტის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ „სსე“, „საქრუსენერგო“ ან/და „ენერგოტრანსი“, ერთობლივად ან ცალ-ცალკე, საკუთარი ბრალით კომპანიას სრულად ვერ უზრუნველყოფენ ზემოაღნიშნული მომსახურებით, დამრღვევი მხარე ვალდებულია (გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულებით დადგენილი იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც წარმოადგენენ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლებს) აუნაზღაუროს კომპანიას ამის შედეგად მიუღებელი შემოსავალი, რომლის გაანგარიშებაც უნდა განხორციელდეს გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და პირობებით; და

ბ) კომპანია ვალდებულია „სსე“-ს, „საქრუსენერგოსა“ და „ენერგოტრანსს“ გადაუხადოს ზემოაღნიშნული მომსახურებისათვის განსაზღვრული თანხა, იმ შემთხვევაშიც, თუ კომპანია გამოიყენებს თურქეთის მიმართულებით ელექტროენერჯის ექსპორტის მიზნებისთვის (ზამთრის თვეების გარდა) წინასწარ ერთობლივად დაგეგმილ და შეთანხმებულ სავალდებულო მოცულობასთან შედარებით ნაკლები მოცულობის მომსახურებას, გარდა გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულებით დადგენილი იმ შემთხვევებისა, რომლებიც წარმოადგენენ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლებს.

- 1.18. „გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულება“ ნიშნავს ელექტროენერჯის ექსპორტის მიზნით ელექტროსადგურების კასკადის მიერ გამოძევაზე ელექტროენერჯის ელექტროგადამცემი ქსელის საშუალებით გადაცემის უზრუნველყოფისათვის კომპანიას, „სსე“-ს, „საქრუსენერგო“-სა და „ენერგოტრანსს“ შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომლის სამოქმედო ვადა უნდა ფარავდეს პერიოდს ელექტროსადგურების კასკადის ექსპლუატაციაში მიღებიდან 15 (თხუთმეტი) წლის განმავლობაში.

მიზანი

2. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს კომპანიის მიერ, საკუთარი სახსრებით, მშენებლობა, ფლობა, ოპერირების პრინციპის საფუძველზე პროექტის განხორციელება საქართველოს კანონმდებლობისა და ამ მემორანდუმით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

წინასაშენებლო ფაზა

3. კომპანია წინასაშენებლო ფაზის განმავლობაში მემორანდუმის დანართ N1, N2 და N3-ში განსაზღვრული ვადებისა და პირობების შესაბამისად ვალდებულია:
- 3.1. განსაზღვროს პროექტისათვის საჭირო ან/და მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთები და მათი ადგილმდებარეობა;
 - 3.2. ჩაატაროს და დაასრულოს სრული ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევა მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადებში (მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში), და წარუდგინოს ის სამინისტროს;
 - 3.3. დაასრულოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და წარუდგინოს ის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და სამინისტროს;
 - 3.4. ჩაატაროს საჯარო განხილვები და წარუდგინოს შედეგები საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და სამინისტროს
 - 3.5. სამინისტროს წარუდგინოს მთავრობისთვის წარსადგენი წინადადება ელექტროსადგურების კასკადის მშენებლობის თაობაზე მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში.
4. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია მემორანდუმის მე-3 მუხლის 3.1-3.5 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შედეგად გადაწყვეტს ელექტროსადგურების კასკადის მშენებლობას, მან მთავრობას უნდა წარუდგინოს წინადადება დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადაში, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგს:
- 4.1. კომპანიის გადაწყვეტილებას შესაბამისი ელექტროსადგურის მშენებლობაზე;
 - 4.2. სრულ ტექნიკურ პარამეტრებს, ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრისა და წლიური გამოძევაების ჩათვლით;
 - 4.3. ელექტროსადგურის განლაგების ზუსტ კოორდინატებს და მდინარის ნიშნულებს;

- 4.4. პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ინვესტიციის სავარაუდო ოდენობას;
- 4.5. სრულ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევას;
- 4.6. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს (საჯარო განხილვების შედეგებით).
5. თუ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის შედეგების ან/და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საფუძველზე აღმოჩნდება, რომ ელექტროსადგურების კასკადის მშენებლობა და ოპერირება კომპანიისათვის ტექნიკურად ან/და ეკონომიკურად არ არის მიზანშეწონილი, კომპანია საკუთარი შეხედულებისამებრ მიიღებს გადაწყვეტილებას პროექტის შემდგომი განხორციელების თაობაზე და შესაბამის შეტყობინებას წარუდგენს მთავრობას, მისთვის მემორანდუმის მე-4 მუხლით გათვალისწინებული შეთავაზების წარდგენამდე.
6. კომპანიის მიერ წინადადების წარდგენიდან არაუგვიანეს 3 თვეში მთავრობამ უნდა განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ელექტროსადგურების კასკადის მშენებლობასთან დაკავშირებით. აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ან/და საჯარო განხილვების შედეგებს.
7. თუ მთავრობის გადაწყვეტილება დადებითია, ძირითადი მხარეები მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში ხელს აწერენ ხელშეკრულებას.
8. მხარეები აცნობიერებენ, რომ სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს დავალების საფუძველზე ახორციელებს საქართველოს მასშტაბით არსებული ენერჯეტიკული პოტენციალის შესწავლას. შესაბამისად, შესაძლებელია წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურების კასკადის პარამეტრები ან/და ადგილმდებარეობა შეიცვალოს სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“-ს მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების გათვალისწინებით.

სამშენებლო ფაზა

9. კომპანია სამშენებლო ფაზის განმავლობაში ვალდებულია:
 - 9.1. მოიპოვოს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ან/და პროექტის მიერ დაკავებულ ზონაში მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე შესაბამისი უფლებები;
 - 9.2. დაიწყოს ელექტროსადგურების კასკადის მშენებლობა მშენებლობის ნებართვის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრულ ვადაში;
 - 9.3. ააშენოს ელექტროსადგურების კასკადი მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში და უზრუნველყოს მისი გადამცემ ქსელთან მიერთება და ექსპლუატაციაში მიღება მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრულ ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;
 - 9.4. უზრუნველყოს პროექტის ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო ფულადი სახსრების მოზიდვა;
 - 9.5. უზრუნველყოს მშენებლობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უსაფრთხოების, გარემოს დაცვის და სხვა სტანდარტების შესაბამისად;
 - 9.6. კომპანია ვალდებულია სამშენებლო პროცესის მონიტორინგის მიზნით საკუთარი ხარჯებით (თუ საქართველოს კანონმდებლობით ამ ფუნქციის შესრულება პირდაპირ არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო სახსრების გამოყენებით) უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის, სამინისტროს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ან/და სხვა ნებისმიერი

უფლებამოსილი სახელმწიფო დაწესებულების სრული და თავისუფალი წვდომა პროექტის განხორციელების არეალზე;

- 9.7. მოთხოვნის შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს სამშენებლო მასალების ხარისხის და მშენებლობის უსაფრთხოების მონიტორინგი.
10. სამშენებლო გარანტია
- 10.1. სამშენებლო ფაზის უზრუნველყოფის მიზნით, კერძოდ, მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე ელექტროსადგურების კასკადის მშენებლობის დაწყების და ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად, ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს კომპანიამ მთავრობის სასარგებლოდ უნდა წარმოადგინოს სამშენებლო გარანტია ასაშენებელი ელექტროსადგურების კასკადის დადგმული სიმძლავრის მიხედვით, 100 მეგავატი სიმძლავრის ჩათვლით - ყოველი მეგავატისათვის 100 000 (ასი ათასი), ხოლო 100 მეგავატზე მეტი სიმძლავრის შემთხვევაში - ყოველი მეგავატისათვის 50 000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ან მისი ეკვივალენტის ევროში ოდენობით. კომპანიის მიერ წარმოდგენილი სამშენებლო გარანტია ძალაში რჩება მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული ელექტროსადგურების კასკადის ექსპლუატაციაში მიღების დღიდან 5 თვის განმავლობაში. კომპანიის მიერ წარმოდგენილი სამშენებლო გარანტია უნდა იყოს გაცემული სახელმწიფოს მიერ ლიცენზირებული ბანკის ან „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) წევრი ქვეყნის ბანკის მიერ.
- 10.2. კომპანიის მიერ მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიის დაჯარიმებას ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მთლიანი სამშენებლო გარანტიის 1.5%-ის ოდენობით. ამასთან, კომპანიამ დაკისრებული ჯარიმა უნდა გადაიხადოს სამინისტროსგან მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში. კომპანიის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადახდის შემთხვევაში სამშენებლო გარანტია შემცირდება გადახდილი ჯარიმის ოდენობით.
- 10.3. კომპანიის მიერ მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული ელექტროსადგურების კასკადის ექსპლუატაციაში მიღების ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიის დაჯარიმებას მთლიანი სამშენებლო გარანტიის 1.5%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. ამასთან, კომპანიამ დაკისრებული ჯარიმა უნდა გადაიხადოს სამინისტროსგან მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში. კომპანიის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადახდის შემთხვევაში სამშენებლო გარანტია შემცირდება გადახდილი ჯარიმის ოდენობით.
- 10.4. მთავრობა უფლებამოსილია სამშენებლო გარანტიით გათვალისწინებული თანხა გამოითხოვოს სრულად ან ნაწილობრივ შემდეგ შემთხვევებში:
- ა) კომპანია მემორანდუმის 10.2 და 10.3 მუხლების შესაბამისად დაკისრებული ჯარიმის გადახდაზე უარს აცხადებს - გადაუხდელი ჯარიმის ოდენობით.
 - ბ) მთავრობა მე-17 მუხლის შესაბამისად წყვეტს მემორანდუმს - სამშენებლო გარანტიის სრული დარჩენილი მოცულობით, გარდა მემორანდუმის 17.1 და 17.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევისა.

ზოგადი დებულებები

11. ელექტროსადგურების კასკადის ექსპლუატაციაში მიღებიდან 15 (თხუთმეტი) წლის განმავლობაში („საწყისი ექსპლუატაციის პერიოდი“), ყოველი წლის შემდეგი თვეების

განმავლობაში: იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი („ზამთრის თვეები“) - ელექტროსადგურების კასკადის ფაქტობრივი გამომუშავების რეალიზაცია სრულად უნდა განხორციელდეს ექსკლუზიურად „ესკო“-ზე.

12. მემორანდუმის მე-11 მუხლის მიზნებისათვის, საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ზამთრის თვეებში, კომპანია „ესკო“-სთან გაფორმებული ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად ელექტროენერჯის რეალიზაციას განახორციელებს მიერთების წერტილში ტარიფით 6 (ექვსი) აშშ ცენტი 1 კვტ/სთ. მემორანდუმის მე-11 მუხლში აღნიშნული თვეების გარდა, წლის დანარჩენ პერიოდში (მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო), კომპანია უფლებამოსილია მისი შეხედულებისამებრ მოახდინოს გამომუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაცია და განახორციელოს ექსპორტი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
13. ზამთრის თვეების განმავლობაში რომელიმე საანგარიშო პერიოდში (თვეში) ელექტროსადგურების კასკადის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის სრული მოცულობის ექსკლუზიურ და გარანტირებულ შესყიდვაზე „ესკო“-ს მხრიდან უარის გაცხადების, „ესკო“-ს მხრიდან ელექტროენერჯის ღირებულების არასაპატიო მიზეზით გადაუხდელობის ან/და არასრული გადახდის ან/და „ესკო“-ს ლიკვიდაციის შემთხვევებში კომპანია შესაბამისი გარემოების აღმოფხვრამდე უფლებამოსილია მისი შეხედულებისამებრ მოახდინოს გამომუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაცია და განახორციელოს ექსპორტი.

მხარეთა ვალდებულებები

14. პროექტის განხორციელების მიზნით, წინამდებარე მემორანდუმის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია ვალდებულია:
 - 14.1. უზრუნველყოს პროექტის განხორციელება;
 - 14.2. შეინარჩუნოს ელექტროსადგურების კასკადი ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში;
 - 14.3. უზრუნველყოს, რომ პროექტის განხორციელების პერიოდში, პროექტზე დასაქმებულთა სულ ცოტა 80% (მენეჯმენტის და ექსპერტების გარდა) იყოს საქართველოს მოქალაქე.
15. პროექტის განხორციელების მიზნით, წინამდებარე მემორანდუმის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულია:
 - 15.1. მაქსიმალურად დაეხმაროს კომპანიას პროექტის განხორციელების პროცესში, მათ შორის შესაბამისი დახმარება გაუწიოს საჭირო ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ კომპანია სრულად დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
 - 15.2. უზრუნველყოს პროექტის განხორციელებისთვის საჭირო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების კომპანიისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გადაცემა, იმ პირობით, რომ კომპანია სრულად დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
 - 15.3. ამ მემორანდუმის მოქმედების ვადის განმავლობაში (მემორანდუმის შეწყვეტამდე) კომპანიის წერილობითი თანხმობის გარეშე არ გადასცეს დანართი N1-ით გათვალისწინებული ნიშნულების ფარგლებში ელექტროსადგურების კასკადის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის

საკითხების შესწავლის ან/და ელექტროსადგურების კასკადის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების უფლება სხვა პირს;

- 15.4. მემორანდუმის მე-7 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადების შემთხვევაში ასეთი ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე არ გადასცეს სხვა პირ(ებ)ს დანართი N1-ით გათვალისწინებული იმ ელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის ან/და ელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების უფლება, რომლის მშენებლობაზეც კომპანიის მიერ მემორანდუმის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება;
16. ელექტროსადგურების კასკადის მიერ გამოძევაზე ელექტროენერჯის ექსპორტის მიზნით „სსე“, „საქრუსენერგო“ და „ენერგოტრანსი“ კომპანიას უზრუნველყოფენ საჭირო დისპეტჩერიზაციის და გადაცემის მომსახურებით, ხოლო „ენერგოტრანსი“ დამატებით უზრუნველყოფს კომპანიას გამტარუნარიანობის საჭირო მოცულობით „ახალციხე-ბორჩხა“-ს ელექტროგადამცემი ხაზის მის კუთვნილ ნაწილზე ელექტროსადგურების კასკადის მიერ გამოძევაზე ელექტროენერჯის თურქეთის საზღვრამდე გადაცემისათვის ელექტროსადგურების კასკადის ექსპლუატაციაში მიღებიდან 15 (თხუთმეტი) წლის განმავლობაში, ზამთრის თვეების გამოკლებით, მხოლოდ მემორანდუმის მე-12 მუხლით გათვალისწინებული ექსპორტისთვის განკუთვნილი იმ შესაბამისი პერიოდებისა და დროის მონაკვეთებისათვის, რომლის დროსაც ახალციხე-ბორჩხას ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით გადასაცემი სიმძლავრის საერთო მოცულობა (სხვა საექსპორტო მოცულობებთან ჯამში) საკმარისი იქნება 500/400/220 კვ. ქვესადგური „ახალციხის“ ტექნიკური პარამეტრებით გათვალისწინებულ დასაშვებ ფარგლებში ფუნქციონირებისთვის, „მიიღე ან გადაიხადე პრინციპის“ საფუძველზე გაფორმებული გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულების შესაბამისად.

მემორანდუმის შეწყვეტა

17. მთავრობა უფლებამოსილია ცალმხრივად, კომპანიისათვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს მემორანდუმი შემდეგ შემთხვევებში, თუ:
 - 17.1. კომპანია დაარღვევს დანართი N2-ით გათვალისწინებულ გრაფიკს და ეს დარღვევა გაგრძელდება ჯამში 30 დღეზე მეტი ვადით;
 - 17.2. 10.2 ან/და 10.3 პუნქტებით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა მიაღწევს თავდაპირველად წარმოდგენილი სამშენებლო გარანტიის ოდენობის 50%-ს ან მეტს;
 - 17.3. მთავრობის მიერ მემორანდუმის მე-6 მუხლის შესაბამისად დადებითი გადაწყვეტილების მიღების მიუხედავად, ამავე მუხლით დადგენილ ვადაში ხელი არ მოეწერა ხელშეკრულებას;
 - 17.4. ფორს-მაჟორი გრძელდება 120 დღეზე მეტი ვადით.
18. მთავრობის მიერ ამ მემორანდუმის მე-17 მუხლის შესაბამისად მემორანდუმის შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:
 - 18.1. სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცემა უფლებები (მათ შორის საკუთრების უფლება) პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გადაცემის მომენტისათვის უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო;
 - 18.2. კომპანიას ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება;
 - 18.3. კომპანიის ხელთ არსებულ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევასა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე, ისევე როგორც

პროექტთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტსა და ნახაზზე (მათ შორის კომპანიის მიერ შემუშავებულ დოკუმენტებზე) ექსკლუზიური საკუთრების უფლება უსასყიდლოდ გადაეცემა მთავრობას.

- 18.4. 18.1 და 18.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულის გარდა, დამატებით, პროექტის განსახორციელებლად საჭირო კომპანიის საკუთრებაში არსებული სხვა უძრავ-მოძრავი ქონება უფლებრივად უნაკლო ფორმით საკუთრებაში გადაეცემა მთავრობას, რისთვისაც კომპანია უფლებამოსილია მოითხოვოს და სრულად მიიღოს კომპენსაცია მთავრობისთვის ამ ქვეპუნქტის შესაბამისად გადაცემული აქტივების აუდიტირებული და დოკუმენტირებული ფაქტობრივი ხარჯების ჯამური ოდენობით, გარდა მემორანდუმის 17.4 პუნქტის საფუძველზე მემორანდუმის შეწყვეტისა.
19. კომპანია უფლებამოსილია ცალმხრივად, მთავრობისთვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს მემორანდუმი შემდეგ შემთხვევებში, თუ:
 - 19.1. მთავრობა ვერ ასრულებს მემორანდუმის მე-15 მუხლით ნაკისრ ვალდებულებებს. აღნიშნულის თაობაზე მთავრობას უნდა გაეგზავნოს შეტყობინება ასეთი სახის შეწყვეტამდე 90 დღით ადრე;
 - 19.2. კომპანია იყენებს ამ მემორანდუმის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ უფლებას. აღნიშნულის თაობაზე მთავრობას უნდა გაეგზავნოს შეტყობინება ასეთი სახის შეწყვეტამდე 30 დღით ადრე;
 - 19.3. ფორს-მაჟორი გრძელდება 120 დღეზე მეტი ვადით.
20. კომპანიის მიერ ამ მემორანდუმის მე-19 მუხლის შესაბამისად მემორანდუმის შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:
 - 20.1. სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცემა უფლებები (მათ შორის საკუთრების უფლება) პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გადაცემის მომენტისათვის უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო;
 - 20.2. კომპანიას ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება;
 - 20.3. კომპანიის ხელთ არსებულ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე, ისევე როგორც პროექტთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტსა და ნახაზზე (მათ შორის კომპანიის მიერ შემუშავებულ დოკუმენტებზე) ექსკლუზიური საკუთრების უფლება უსასყიდლოდ გადაეცემა მთავრობას;
 - 20.4. კომპანია უფლებამოსილია მოითხოვოს და სრულად მიიღოს მთავრობისგან აუდიტირებული და დოკუმენტირებული საინვესტიციო ხარჯი, გარდა მემორანდუმის 19.2 და 19.3 პუნქტების საფუძველზე მემორანდუმის შეწყვეტისა.
21. ცალ-ცალკე მთავრობის ან კომპანიის მიერ, აგრეთვე მათ მიერ ერთობლივი ურთიერთშეთანხმებით ამ მემორანდუმის შეწყვეტა იწვევს მემორანდუმის ყველა მხარისათვის შეწყვეტას და შესაბამისად, ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებისა და გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულების შეწყვეტას.

მემორანდუმის ცვლილება

22. ცვლილებები
 - 22.1. წინამდებარე მემორანდუმის ცალკეული დებულება შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;
 - 22.2. იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მოზადების შემდეგ შეიცვალა ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრები, კომპანიის მოთხოვნის

საფუძველზე მთავრობა განიხილავს მემორანდუმში ცვლილებების შეტანის საკიხს.

- 22.3. იმ შემთხვევაში, თუ ამ მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ან/და პროექტის რეალიზაციის პროცესში კომპანია შეფერხდება მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (მათ შორის, პროექტის განხორციელებისათვის საჭირო კერძო საკუთრებაში არსებული ან დაურეგისტრირებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრებისგან/მოსარგებლებისგან სათანადო უფლებების გაფორმების ან გადმოცემის, მიწის ნაკვეთების გამოსყიდვის გამო), კომპანიის მოთხოვნის საფუძველზე მთავრობა განიხილავს მემორანდუმით გათვალისწინებული ვადების შესატყვისი პერიოდით გადაწევის ან/და მემორანდუმში სხვაგვარი ცვლილებების შეტანის საკიხს.
- 22.4. თუ მემორანდუმის ნებისმიერი დებულება გახდება ბათილი ან ძალადაკარგული, ეს არ იქონიებს გავლენას მემორანდუმის სხვა დებულებებზე.

მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების მოგვარება

23. წინამდებარე მემორანდუმი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
24. ყველა დავა, რომელიც წარმოიშვება წინამდებარე მემორანდუმთან დაკავშირებით, უნდა გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკების გზით დავის 3 თვის განმავლობაში გადაუწყვეტელობის შემთხვევაში ნებისმიერი დავა ან უთანხმოება წარმოქმნილი ამ მემორანდუმიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით უნდა საბოლოოდ გადაწყდეს საერთაშორისო არბიტრაჟის მეშვეობით საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) არბიტრაჟის წესების შესაბამისად ერთი (1) ან მეტი არბიტრის მიერ, რომლებიც ინიშნებიან ხსენებული არბიტრაჟის წესების თანახმად.

ფორს-მაჟორი

25. ფორს-მაჟორი ნიშნავს ნებისმიერ მოვლენას, რომელიც მხარეების გონივრული კონტროლის მიღმაა და მისი წარმოქმნის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იყო მემორანდუმის დადების მომენტისათვის, მათ შორის: ომი, სამოქალაქო ომი, ინტერვენცია, შეიარაღებული კონფლიქტი, ტერორისტული აქტი, რადიაცია, ბიოლოგიური ან ქიმიური დაბინძურება, აფეთქება, ხანძარი, ეპიდემია, ციკლონი, მეწყერი, მეხი, მიწისძვრა, წყალდიდობა, ვულკანის ამოფრქვევა, სხვა სტიქიური უბედურება ან ნებისმიერი მსგავსი მოვლენა.
26. თუ რომელიმე მხარე მოექცევა წინა მუხლში აღნიშნულ ფორს-მაჟორულ გარემოებებში, მან დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს მეორე მხარეს ამის შესახებ წერილობითი შეტყობინება. ამავე მხარემ გონივრულ ვადაში უნდა წარუდგინოს მეორე მხარეს დეტალური ანგარიში, რომელიც შეიცავს ფორს-მაჟორის მიზეზებსა და შედეგებს.
27. თუ ფორს-მაჟორი ხელს შეუშლის ნებისმიერი მხარის მემორანდუმით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულების ან მისი ნაწილის ჯეროვნად შესრულებას, იმ მხარეს, რომელიც ფორს-მაჟორზე მიუთითებს, ვალდებულებების შეუსრულებლობა ჩაეთვლება საპატიოდ ამ მოვლენის ზემოქმედების პროპორციულად და მეორე მხარეს არ იქნება უფლება შეწყვიტოს მემორანდუმი, თუ ამავე მემორანდუმით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

დამატებითი დებულებები

28. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღეს და ძალაშია მხარეთა მიერ ურთიერთვალდებულებების ამოწურვამდე ან ამ მემორანდუმის თანახმად მის შეწყვეტამდე.

29. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ექვს თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

ხელმოწერები

საქართველოს მთავრობა

კახა კალაძე

შპს „აკვაჰიდროენერჯი“

დავითი კობერიძე

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

სულხან ზუმბურიძე

სს „გეს საქრუსენერჯო“

რობერტ მიქაუტაძე

შპს „ენერჯოტრანსი“

კახა სეხნიაშვილი

სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“

ვახტანგ ამბოკაძე

დანართი N1

დასახელება	ადგილმდებარეობა	მდინარის ნიშნულები მეტრი ზღვის დონიდან		წლიური გამომუშავება	სიმძლავრე
ლაჯანური 1 ჰესი	რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი, მდინარე ლაჯანური	870	770	23.61 მლნ. კვტ.სთ	4.3 მგვტ.
ლაჯანური 2 ჰესი	რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი, მდინარე ლაჯანური	767	663	31.16 მლნ. კვტ.სთ	5.8 მგვტ.
ლაჯანური 3 ჰესი	რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი, მდინარე ლაჯანური	660	560	23.61 მლნ. კვტ.სთ	4.3 მგვტ.

დანართი N2

ლაჯანური 1 ჰესი, ლაჯანური 2 ჰესი, ლაჯანური 3 ჰესი	თვეების რაოდენობა მემორანდუმის ხელმოწერის თარიღიდან			
	3	6	9	12
ადგილმდებარეობისა და ძირითადი პარამეტრების განმარტებები	X	X		
ტოპოგრაფიული კვლევა და რუკების მომზადება		X	X	
გეოლოგია, გეოფიზიკა			X	
სეისმური რისკის ანალიზი			X	
სამშენებლო მასალების კვლევა			X	
მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევები		X	X	
ჰიდრაულიკური კვლევები			X	
ალტერნატიული ანალიზი		X	X	
ტექნიკური დიზაინი				X
ინფრასტრუქტურა			X	X
ელექტროენერჯის გენერაცია და გამოყენება			X	X
ქსელთან მიერთება და გადამცემი ხაზი			X	X
ეკოლოგია			X	X
სამუშაოების მოცულობის უწყისი				X
მშენებლობის ორგანიზირება			X	X
ეკონომიკური ანალიზი				X
ფინანსური ანალიზი				X
შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელების გეგმა				X
სამუშაო ძალის დატრენინგების გრაფიკი				X
ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის წარდგენა				X
გარემოზე ზემოქმედების და სოციალური რისკების შეფასების ანგარიშის მომზადება და წარდგენა				X
საჯარო განხილვის ჩატარება და შედეგების წარდგენა				X
პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობის დადგენა და განსაზღვრა				X
პროექტის განხორციელების თაობაზე მთავრობისათვის წინადადების წარდგენა				X

დანართი N3

წინასაშენებლო ფაზა		საშენებლო ფაზა		
დასაწყისი	დასასრული	დასაწყისი		დასასრული
მემორანდუმის ხელმოწერის თარიღი	ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი	ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი	შენებლობის ნებართვის საფუძველზე შენებლობის დაწყების თარიღი - 6 თვე შეთანხმების ხელმოწერიდან	ექსპლუატაციაში მიღება
16 თვე მემორანდუმის ხელმოწერიდან		42 თვე ხელშეკრულების ხელმოწერიდან		

დანართი N4

ხელშეკრულება

ქ. თბილისი _____

საქართველოს მთავრობა (შემდგომში: „მთავრობა“) წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის კახა კალაძის მიერ, და

შპს „აკვაჰიდროენერჯის“ (შემდგომში „კომპანია“), ს/კ 443860261, წარმოდგენილი დირექტორის დავითი კობერიძის მიერ;

ვინაიდან ძირითადად მხარეებმა, მემორანდუმის შესაბამისად კომპანიის მიერ მოწოდებული და წარდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის ანალიზის, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და საჯარო განხილვის შედეგების საფუძველზე მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებული ელექტროსადგურების კასკადის მშენებლობის თაობაზე;

ვინაიდან კომპანიამ მემორანდუმის 10.1 მუხლის საფუძველზე მთავრობის სასარგებლოდ წარმოადგინა სამშენებლო გარანტია;

აქედან გამომდინარე ძირითადი მხარეები დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას მშენებლობის ფაზის დაწყების მიზნით.

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან.

ხელმოწერები:



საქართველოს მთავრობის ბანაკგულეა

N1656 2015 წლის 30 ივლისი ქ. თბილისი


საქართველოს მთავრობას, შპს „აკვაჰიდროენერჯის“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გეს საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, შპს „აკვაჰიდროენერჯის“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გეს საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ურთიერთგაგების მემორანდუმს, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი

რ.



ირაკლი ღარიბაშვილი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010137829377915

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ. 24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№4693

15 / ივნისი / 2015 წ.

საქართველოს ენერგეტიკის
მინისტრის მოადგილეს,
ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2015 წლის 5 ივნისის №03/2145 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გეს საქრუსენერჯოს“, შპს „ენერჯოტრანსს“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „აკვაპიდროენერჯის“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი (შემდგომში – „მემორანდუმის პროექტი“), რომელთან დაკავშირებით გაცნობებით შემდეგს:

1. მემორანდუმის პროექტის 1.7 პუნქტში მოცემული „საინვესტიციო ხარჯის“ განმარტება ძალიან ფართოა, ამდენად, ხელშეკრულების ფარგლებში მისი ამ ფორმით დატოვება საჭიროებს გადაწყვეტას მიზანშეწონილობიდან გამომდინარე. აღნიშნულთან დაკავშირებით, ასევე, გასათვალისწინებელია, რომ, მემორანდუმის პროექტის პირობებით განსაზღვრულ შემთხვევებში, „საინვესტიციო ხარჯი“ ექვემდებარება საქართველოს მთავრობის მიერ ანაზღაურებას.

2. მემორანდუმის პროექტის 1.17 პუნქტთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ, ხელშეკრულების მხარეთა თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, „მიიღე ან გადაიხადე პრინციპის“ მექანიზმი თანაბრად უნდა ვრცელდებოდეს მემორანდუმის მხარეებზე და ითვალისწინებდეს მხარეთა კომპენსაციის ერთნაირ პირობებს. შესამაბისად, ზემოაღნიშნული 1.17 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში ასანაზღაურებელი ელექტროენერჯის მოცულობა უნდა განისაზღვროს ერთი პრინციპით, კერძოდ, გასატარებელი მოცულობა განმარტებულ უნდა იქნეს როგორც „ელექტროსადგურის მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის სრული მოცულობა“ ან როგორც „წინასწარ ერთობლივად დაგეგმილი და შეთანხმებული სავალდებულო მოცულობა“; ამასთან, „ბ“ ქვეპუნქტში განსაზღვრული „გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული

გამონაკლისები უნდა გავრცელდეს 1.17 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე.

3. თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით, მემორანდუმის პროექტის 19.3 პუნქტით განსაზღვრული კომპანიის უფლება - შეწყვიტოს მემორანდუმი ფორსმაჟორის 120 დღეზე მეტი ვადით გაგრძელების შემთხვევაში, ასევე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მემორანდუმის პროექტის მე-17 მუხლის ფარგლებში.

4. საკითხი დავათა გადაწყვეტის ფორუმად საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) წესების გამოყენებით არბიტრაჟის არჩევის შესახებ უნდა გადაწყდეს მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

5. ამასთან, ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტს აქვს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი, კერძოდ, მე-17 მუხლის სათაურსა და 28-ე მუხლში ტერმინი „მემორანდუმის გაუქმება“ უნდა ჩანაცვლდეს ტერმინით - „მემორანდუმის შეწყვეტა“.

პატივისცემით,

გ. ლორთქიფანიძე

მინისტრის მოადგილე


გოჩა ლორთქიფანიძე

საქრუსენერგო

სს საქართველოს ენერჯეტიკის სისტემა

SAKRUSENERGO

ISC UNITED ENERGY SYSTEM



N 05/385
12/06/2015

385-05-2-201506121353



საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის
მოადგილეს ბ-ნ ირაკლი ხმაღამეს

ბატონო ირაკლი,

სს გეს „საქრუსენერგო“-მ განიხილა საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს 2015 წლის 5 ივნისის #04/2146 წერილი საქართველოს მთავრობას, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, შპს „ენერგოტრანსს“, სს გაერთიანებული ენერჯეტიკული სისტემა „საქრუსენერგოს“, სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ და შპს „აკვაჰიდროენერჯის“ შორის გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

რომეო მიქაუტაძე

გენერალური დირექტორი



2653-09-2-201506151305

N 2653/09

15/06/2015

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ განიხილა თქვენი 05/06/2015 წლის N04/2146 წერილით წარმოდგენილი, საქართველოს მთავრობას, კომპანია „აკვაპიდროენერჯის“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

2. პროექტის 1.17 პუნქტში, რომელიც განსაზღვრავს კომპენსაციების გადახდის პრინციპს, საჭიროა ერთმნიშვნელოვნად მიეთითოს და აქცენტი გაკეთდეს, რომ კომპენსაციების გადახდები ასევე დარეზერვებული მოცულობების შეცვლა ხორციელდება გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. აღნიშნულის გათვალისწინებით გთავაზობთ 1.17 პუნქტში შემდეგ ცვლილებებს (შესწორებები მონიშნულია):

„1.17. მიიღე ან გადაიხადე პრინციპი“ ნიშნავს გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულების შესაბამისად განსაზღვრულ პრინციპს, რომლის თანახმადაც:

ა) „სსე“, „საქრუსენერგო“ და „ენერგოტრანსი“ კომპანიას უზრუნველყოფენ საჭირო დისპეტჩერიზაციის და გადაცემის მომსახურებით, ხოლო „ენერგოტრანსი“ დამატებით უზრუნველყოფს კომპანიას გამტარუნარიანობის საჭირო მოცულობით „ახალციხე-ბორჯხა“-ს ელექტროგადამცემი ხაზის მის კუთვნილ ნაწილზე ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის სრული მოცულობით (ზამთრის თვეების გარდა) თურქეთის საზღვრამდე გადაცემისათვის ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან 15 (თხუთმეტი) წლის განმავლობაში ექსპორტის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ „სსე“, „საქრუსენერგო“ ან/და „ენერგოტრანსი“, ერთობლივად ან ცალ-ცალკე, საკუთარი ბრალით კომპანიას სრულად ვერ უზრუნველყოფენ ზემოაღნიშნული მომსახურებით, დამრღვევი მხარე ვალდებულია (გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულებით დადგენილი იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც წარმოადგენენ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლებს) აუნაზღაუროს კომპანიას ამის შედეგად მიუღებელი შემოსავალი, რომლის გაანგარიშებაც უნდა განხორციელდეს გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და პირობებითა და შემთხვევებში, და

ბ) კომპანია ვალდებულია „სსე“-ს, „საქრუსენერგოსა“ და „ენერგოტრანსს“ გადაუხადოს ზემოაღნიშნული მომსახურებისათვის განსაზღვრული თანხა, იმ შემთხვევაშიც, თუ კომპანია გამოიყენებს თურქეთის მიმართულებით ელექტროენერჯის ექსპორტის მიზნებისთვის (ზამთრის თვეების გარდა) წინასწარ ერთობლივად დაგეგმილ და შეთანხმებულ სავალდებულო მოცულობასთან შედარებით ~~საკუთარ ბრალით~~ გამოიყენებს ნაკლები მოცულობის მომსახურებას, გარდა გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულებით

დადგენილი იმ შემთხვევებისა, რომლებიც წარმოადგენენ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლებს. გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

3. პროექტის მე-16 მუხლში მეტი თვალსაჩინოებისთვის, მიზანშეწონილია, მე-12 მუხლით გათვალისწინებულ პერიოდზე მითითებასთან ერთად კონტექსტში დაემატოს ზამთრის თვეებიც, ვინაიდან ექსპორტისთვის განკუთვნილი პერიოდი რას ნიშნავს, ცალკე, როგორც ტერმინი არ არის განმარტებული, ხოლო ზამთრის თვეების განმარტება მოცემულია მე-11 მუხლში.


გარდა ამისა, პროექტით გათვალისწინებული ასაშენებელი სადგურების სიმძლავრე საერთო ჯამში არ აღემატება 14.4 მგვტ-ს, მაშინ, როდესაც ახალციხის ქვესადგურის მუდმივი დენის ჩანართი გათვლილია არანაკლებ 35 მგვტ. სიმძლავრის გადაცემაზე. შესაბამისად, თუ საექსპორტო პერიოდში დამატებით სხვა ექსპორტიორის ელექტროენერჯის გადაცემა არ მოხდება, მართო პროექტით გათვალისწინებული სადგურების გამომუშავებული ელექტროენერჯის ექსპორტი ახალციხე-ბორჯხას ეგხ-ს მეშვეობით ვერ განხორციელდება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით (შესწორებები მონიშნულია):

„16. ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ექსპორტის მიზნით, „სსე“, „საქრუსენერჯო“ და „ენერჯოტრანსი“ კომპანიას უზრუნველყოფენ საჭირო დისპეტჩერიზაციის და გადაცემის მომსახურებით, ხოლო „ენერჯოტრანსი“ დამატებით უზრუნველყოფს კომპანიას გამტარუნარიანობის საჭირო მოცულობით „ახალციხე-ბორჯხა“-ს ელექტროგადამცემი ხაზის მის კუთვნილ ნაწილზე ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის თურქეთის საზღვრამდე გადაცემისათვის, ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან 15 (თხუთმეტი) წლის განმავლობაში, ზამთრის თვეების გამოკლებით, მხოლოდ მემორანდუმის მე-12 მუხლით გათვალისწინებული ექსპორტისთვის განკუთვნილი იმ შესაბამისი პერიოდებისა - განმავლობაში და დროის მონაკვეთებისათვის, რომლის დროსაც ახალციხე-ბორჯხას ეგხ-ს მეშვეობით გადასაცემი სიმძლავრის საერთო მოცულობა (სხვა საექსპორტო მოცულობებთან ჯამში) საკმარისი იქნება 500/400/220 კვ. ქვესადგური „ახალციხის“ ტექნიკური პარამეტრებით გათვალისწინებულ დასაშვებ ფარგლებში ფუნქციონირებისთვის, „მიიღე ან გადაიხადე პრინციპის“ საფუძველზე გაფორმებული გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულების შესაბამისად.

პატივისცემით,

სულხან ზუმბურიძე



მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე

რეაბილიტაციის მმართველი



ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, ბარათაშვილის ქ. 2
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

N 01/652
22/06/2015

652-01-2-201506221101



თანხმობა ხელმოსაწერი
ურთიერთგაგების მემორანდუმის
პროექტზე

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის
მოადგილეს ბატონ ირაკლი ხმაღამეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2015 წლის 05 ივნისის #04/2146 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ბაზრის ოპერატორმა განიხილა საქართველოს მთავრობას, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გეს საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსს“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „აკვაპიდროენერჯი“-ს შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი (ლაჯანური 1 ჰესი, ლაჯანური 2 ჰესი, ლაჯანური 3 ჰესი), რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ ბაზრის ოპერატორი ეთანხმება წარმოდგენილ მემორანდუმის პროექტს, წინამდებარე წერილში მოცემული შენიშვნების გათვალისწინებით.

მემორანდუმის მე-13 მუხლში მითითებული წორმიდან გამომდინარე, „ესკო“-ს მიმართ მესამე პირის მიერ გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყების მოთხოვნით შესაბამისი განცხადების წარმოებაში მიღებისთანავე, შპს „აკვაპიდროენერჯი“-ს შეუძლია მისი შეხედულებისამებრ მოახდინოს ელექტროენერჯის რეალიზაცია და განახორციელოს ექსპორტი, ხოლო ამის შედეგად მიღებული შემოსავლის უარყოფითი სხვაობა „ესკო“-ს გარანტირებული შესყიდვის ფასთან შეფარდებით დაუქვემდებაროს კომპენსაციას „ესკო“-ს მხრიდან. ამდენად, აღნიშნული კიდევ უფრო დაამძიმებს „ესკო“-ს ფინანსური მდგომარეობას და მიიყვანს კომპანიას გარდაუვალ გაკოტრებამდე.

OFFICE@ESCO.GE • WWW.ESCO.GE

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“
რეგისტრირებულია ქ. თბილისის საჯარო საბაზო ინსპექციის მიერ 07.08.2006; სსიპ. კოდი 205170036

ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC
Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.08.2006; ID CODE 205170036


გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ, ზოგადად, „ესკო“-ს მიერ მე-13 მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი მიზეზით კომპენსაციის ფორმის გამოყენება, ასევე სერიოზულ საფრთხეს უქმნის ბაზრის ოპერატორის, როგორც ელექტროენერგეტიკული დარგის მნიშვნელოვანი მონაწილის ფინანსურ სტაბილურობას. აღნიშნული შექმნის პრეცედენტს, რომლითაც შესაძლებელია ისარგებლონ ანალოგიური და უფრო დიდი პროექტების განმახორციელებელმა ინვესტორმა კომპანიებმა.

აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ მე-13 მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზამთრის თვეების განმავლობაში რომელიმე საანგარიშო პერიოდში (თვეში) ელექტროსადგურის მიერ გამოთუშავებული ელექტროენერჯის სრული მოცულობის ექსკლუზიურ და გარანტირებულ შესყიდვაზე „ესკო“-ს მხრიდან უარის გაცხადების, „ესკო“-ს მხრიდან ელექტროენერჯის ღირებულების არასაკატიო მიზეზით გადაუხდელობის ან/და არასრული გადახდის ან/და „ესკო“-ს ლიკვიდაციის შემთხვევებში კომპანია შესაბამისი გარემოების აღმოფხვრამდე უფლებამოსილია მისი შეხედულებისამებრ მოახდინოს გამოთუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაცია და განახორციელოს ექსპორტი.“

პატივისცემით,

ვახტანგი ამბოკაძე


გენერალური დირექტორი



ენერგოტრანსი

საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2/ 2 Baratashvili str. Tbilisi 0105, Georgia ტელ./ფაქსი/tel./fax: +995(32)2510140

19/06/2015

N 396

396-01-2-201506191724



საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს

თქვენი 2015 წლის 05 ივნისის #04/2146 წერილის პასუხად მოგახსენებთ, რომ შპს "ენერგოტრანსმა" განიხილა საქართველოს მთავრობას, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გეს საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსს“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „აკვაჰიდროენერჯის“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი. ამასთან, გაცნობებთ, რომ შპს "ენერგოტრანსს" თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდენილი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ აქვს.

პატივისცემით,
კახა სეხნიაშვილი

დირექტორი